



# სამხედრო უზრუნველყოფის



## „რესპუბლიკის ჯარი“



(სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში არსებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

### ოფიციალი განყოფილება

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

20 იანვარი 1919 წ. ტფილისი

№ 21

აღსასრულებლად შეათე მუხლსა ჩემის ბრძანებისა 20 გიორგობისთვითგან 1919 წ., 86, ჯარის ნაწილების და სამხედრო უწყების საფა და სხვა გვარის კმაყოფის მოთხოვნათა და საზოგადოდ ანგარიშთა განხილვისათვის, 26 მაისითგან დაწყებული 1 გიორგობისთვემდე 1918 წლისა, ვნიშნავ კომისიას:

ა) ჯარების იმ ნაწილებისთვის, რომელნიც იმყოფებიან დივიზიის, ბრიგადის შემადგენლობაში დივიზიის ბრიგადის უფროსის დანიშვნით სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლის და დივიზიის ინტენდანტის მონაწილეობით და

ბ) ჯარების იმ ნაწილებისთვის, რომელნიც არ იმყოფებიან დივიზიის შემადგენლობაში, გენერალ-მაიორის ციციშვილის თავმჯდომარეობით წევრთაგან, რომელთაგან ერთი იქნება 1 დივიზიის უფროსის მიერ დანიშნული შტაბ-ოფ ცერი და მეორე — საადმინისტრაცი. განყოფილების მიერ დანიშნული, კონტროლის წარმომადგენლის მონაწილეობით.

სამხედრო მინისტრის მაგიერ  
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

27 იანვარი 1919 წ. ტფილისი

№ 22

თეთრი გიორგის ორდენის სტატუტის შესადგენათ ვნიშნავ კომისიას: ჩემს განკარგულებაში მყოფ ინფანტერიის გენერალ-გზაშვილის თავმჯდომარეობით შემდეგთ წევრთაგან: ჩემს განკარგულებაში მყოფ გენერალ-მაიორების არჯევანიძის და ჩხეიძის, ოფიცერთა პოლკის უფროსის გენერალ-მაიორის ბაქრაძის, სარემონტო სექციის უფროსის გენერალ-მაიორი ქავჭავაძის (სპირიდონი),

მე-2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის უფროსის გენერალ-მაიორ სუმბათაშვილის, საოპერაციო განყოფილების უფროსის გენერალურ შტაბის პოლკოვნიკ ნაცვლიშვილის, ლინგუენერო-სატენიკო სექციის უფროსის თანაშემწის პოლკოვნიკ ქლენტის, მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეის უფროსის პოდპოლკოვნიკ მგალობლიშვილის, 1-ლ ცხენოსან პოლკის პოდპოლკოვნიკ სულხანიშვილის, საავიაციო რაზმის უფროსის პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის და სამხედრო სამ მინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის თანაშემწის კაპიტან უხუცელიშვილისაგან.

30 იანვარი 1919 წ. ტფილისი.

№ 23

§ 1.

ჯართა ნაწილებში ეხლავე გაყიდული იქმნან საჯარო ვაჭრობით სამსახურისათვის უვარგისი ცხენები — როგორც რეკვიზიტის წესით შეძენილნი, აგრეთვე სახელმწიფონი — ყველაფერში თანახმად დებულებისა.

საჯარო ვაჭრობის დღის და ადგილის შესახებ წინასწარ უნდა გამოცხადებულ იყოს გაზეთებში და ერთი კვირით ადრე უნდა ეცნობოს სარემონტო სექციის თავმჯდომარეს, რომელმაც თავსი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოს ვაჭრობაზე დასასწრებლად.

ცხენების გაყიდვით შემოსული ფული უნდა შეტანილ იქმნას მახლობელ ხაზინაში, ხოლო სარემონტო სექციის თავმჯდომარეს ჯართა ნაწილები ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ ხაზინიდან მიღებული ფულის მიღების ბარათის პირი.

§ 2.

სარემონტო სექციის თავმჯდომარის განკარგულებით უნდა იქმნან დადასტურებული ყველა სახელმწიფო ცხენები.

§ 3.

ჯართა ნაწილებში დაუყოვნებლად შეუდგენ ცხენების ნუსხის შედგენას და მისცენ სახელწოდება იმ ცხენებს, რომელთაც ეს არა აქვთ, რომ-



ლის დროს უნდა დაცულ იქნას შემდეგი წესი: 5 წლის ცხენების სახელი იწყებოდეს ასო ა-ნით, 6 წლის ცხენების — ბ-ნით და სხვა.

§ 4.

განმეორებით ვბრძანებ, რათა შესრულებულ იქნას ჯართა ნაწილების მიერ წარდგენა სარემონტო სექციაში ცნობებისა რეკვიზიციის წესით მოგროვილ ცხენების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე უვარგისად ცნობილთა და პატრონებისთვის დაბრუნებულთა რაოდენობის შესახებაც.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 25

სამხედრო უწყების მიმართ ბრძანების № 135 და № 153 დასამატებლათ ვბრძანებ ყველა სამხედრო უწყების მოსამსახურე ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ატარონ შემოდებული დროებითი ფორმა: ეროვნული კოკარდა და ოფიცრების პაგონებზე ასოები „ქ. ლ.“, ჯარისკაცებისაზე კი პოლკის ნომერი და ასოები „ქართ.“

ამ ბრძანების არ შესრულებელი მკაცრათ იქნება დასჯილი.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 26

გასულის 1918 წ. 23 დეკემბერს ქუთაისის სადგურზე ერთერთს ვაგონში, რომელშიც დაზინავებულნი იყვნენ სატენლებით და ასაფეთქებელის ნივთებით დატვირთულის მატარებლის მოდარაჯე კაცები, გაჩნდა ცეცხლი მოდარაჯეთა გაუფრთხილებლობით. იმის გარდა რომ აფეთქდებოდა სატენლები და მოისპობოდა სახელმწიფოს ისეთი ძვირფასი ქონება, როგორც იყო საომარის ნამზადისობით სავსე მთელი მატარებელი, ამ ცეცხლს შეეძლო მოჰყოლოდა დანგრევა რკინის გზის სადგურის მიდამოებისა და დალუბვა აუარებელის ხალხისა და ქონებისა. მაგრამ ეს უბედურება აცილებულ იქნა უმსხვერპლოდ და უზარალოდ, თუ არ ვიანგარიშებთ დამწვარს ვაგონს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ენერგიული ზომები იხმარეს სარტილერიო საწყობის გამგემ პორუჩიკმა გრიგოლიამ და საწყობის ზედამხედველმა პარმენ ლორთქიფანიძემ და დიდის თავგანწირულობით გაისარჯნენ ვაგონების გადამბმელი კვატალია, ჯარის ტვირთის მოანგარიშე სებუა და რკინის გზის ყველა მოსამსახურენი. განსაკუთრებული თავგანწირულება გამოიჩინა ამ შემთხვევაში გადამბმელმა კვატალიამ, რომელიც ზემოდ აღნიშნულს გარემოებაში არ შეუშინდა სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდებას და აასრულა თავის სამსახურებრი მოვალეობა. ჯერ მოხსნა სატენლებით სავსე ცხრა ვაგონი და უშიშარს ადგილზე მიაგორა ორთქლმა-

ვალის საშვალეობით, შემდეგ ეცა ცეცხლიდან ბულს ვაგონს და მორბენილის ჯარისკაცების დახმარებით ეს ვაგონიც გააგორა, რითაც სრულეობით გააცალკევა ცეცხლი. დიდი სამსახური გასწია თაოსნობის გამოჩენით აგრეთვე მოანგარიშემ ლეონტი სებუამ, რომელიც ყურს უგდებდა ჯარის ტვირთს და ეშელენებს, მით რომ განკარგულება მოახდინა მოკეყვანათ ორთქლმავალი დებოთგან, რომელიც ახლო იყო ცეცხლის ადგილზე.

ამ შემთხვევის გამო დანიშნულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ საწყობის უფროსს პორუჩიკს გრიგოლიას და საწყობის ზედამხედველს პარმენ ლორთქიფანიძეს გამოუჩენიათ ჯეროვანი გამჭრიახობა, მუყიათობა და თავგანწირულობა ცეცხლის ქრობის და ასაფეთქებელის ნივთებით დატვირთულის ვაგონების გადარჩენის დროს და ფეხი არ მოუცვლიათ თავის ადგილითგან იმის მიუხედავად, რომ მათი სიცოცხლე აშკარა განსაცდელში იყო.

რკინის გზის უფროსმა, სადგურის უფროსის წინამძღოლობით, აგრეთვე მაშინისტებმა კუპრაშვილმა და ველთაძემ, ცეცხლის შემკეთებლებმა კამგაძემ და მერკვილაძემ და შემადგენელმა ქვიმსაძემ თავიანთ გამჭრიახობით, უღელვებლობით და სამსახურებრის მოვალეობის პატიოსნურად შესრულებით აგრეთვე ჯეროვანად შეუწყეს ხელი სახაზინო ქონების გადარჩენას და ნგრევა-დალუპვის აცილებას.

ასეთის პატიოსნურად და თავგანწირულად გარჯისათვის თავის მოვალეობის შესრულების დროს სამსახურის სახელით ვუცხადებ მადლობას ყველა ზემოდ აღნიშნულს პირებს, ხოლო გადამბმელს კვატალიას, მოანგარიშეს სებუას, მემანქანეებს კუპრაშვილს და ველთაძეს, ცეცხლის შემკეთებლებს კამგაძეს და მერკვილაძეს და შემადგენელს ქვიმსაძეს ვბრძანებ მიეცეს სამხედრო ფონდითგან ჯილდოდ ხუთას-ხუთასი მანეთი.

31 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 27.

ამ წლის 27 იანვრის ჯარისადმი ბრძანების შესაცვლელად, სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებაში გაძლიერებულ მუშაობის გამო სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის თანამემწე კაპიტანი უთნელიშვილი თავისუფლდება თეთრი გიორგის ორდენის სტატუტის შემდგენ კომისიაში მონაწილეობისაგან.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 28.

გენერალ-მაიორმა მაჭავარიანმა მოხსენებით შემატყობინა, რომ იგი და პოლკოვნიკი გაბაშვილი



წავიდნენ ფრონტზე აშაგა-სერალში 24 დეკემბერს 1918 წელს და დაბრუნდნენ ამავე თვის 27. აგრეთვე პოლკოვნიკ გაბაშვილთან ერთად გამგზავრებულია 1-ლ იანვარს 1919 წ. სადახლოში და დაბრუნებულია ამავე თვის 3-ს.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 29

ინიშნებიან: ხელახლად, ომიდან დაბრუნების შემდეგ, რესპუბლიკის საინტენდანტო დაწესებულებათა შესამომწმებელ კომისიაში მე-5 ქვეითა პოლკის კაპიტანი მაჭუტაძე და პორუჩიკი გაჩეჩილაძე.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 30

პოლკოვნიკმა ქავთარაძემ მოხსენებით შემატყობინა, რომ დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იგი იყო გაგზავნილი მთავრობის მიერ, ამ წლის 24 იანვარს.

3 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 31.

ინიშნებიან: სომხეთის რესპუბლიკასთან უკანასკნელ შეიარაღებულ შეტაკების დროს სანაინიდან აშაგასერალამდის დახვეის პერიოდში ჩვენი ჯარების მოქმედებათა გამოსაძიებლად შედგენილ კომისიის თავმჯდომარეთ—ჩემს განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი არჯევანიძე, წევრათ: 1) ჩემ განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი ფურცელაძე, 2) გენერალურ შტაბის უფროსთან მინდობილობისათვის მყოფი პოლკოვნიკი ცხაკაია. კომისია ეხლავე შეუდგეს გამოძიებას და თავმჯდომარემ გამოძიების შემდეგ წარმომიდგინოს მე დაწვრილებითი მოხსენება არა უგვიანეს ამ წლის 1-ლ მარტისა.

5 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 32

ამით ვაცხადებ ცნობისათვის, რომ შაბათს, 7 თებერვალს, რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოში მოხდება საჯარო გამწესრიგებელი სხდომა ნაფიც მსაჯულთა კენჭის საყრელად მომავალ სესიისათვის ქ. ტფილისში 22 თებერვლიდან 8 მარტამდე.

კ ა ნ ო ნ ი: 22 მუხ. ყოფილის დროებითის მთავრობის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებული იყო ბრძანებაში სამხედრო უწყების მიმართ 1917 წ. № 336.

31 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 33.

ჯარისკაცი პავლე ბედენაშვილი უმწყობრო გუნდიდან გადაყვანილ იქმნას მე-5 მსროლელთა პოლკში, სამხედრო სასამართლოსთან მივლენით.

4 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 34

სამხედრო სამინისტროსთან არსებულ მწყობრო-

გარეთის რაზმის უფროსის მოხსენებიდან ირწმუნება, რომ პოდპორუჩიკმა გრიგოლიამ დასჯარგა საჩუქრად წიგნაკის № 61-ს მოთხოვნილების ხელმოუწერელი ტალონი № 13.

აღნიშნული ტალონი ჩაითვალოს გაუქმებულად.  
6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 35

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა იმნაძემ მოხსენებით შემატყობინა, რომ იგი 3 თებერვალს დაბრუნდა ახალციხიდან, სადაც იყო წავლენილი.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 36

ინიშნებიან: გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიაში გენერალ-მაიორი თოფურიძე, დადგეკლიანი, ყარალაშვილი და მე-2 ცხენოსან პოლკის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი მაჭავარიანი. დღიურ ხარჯის ფულად მიეცემათ პირველთ—40 მან. და უკანასკნელს 35 მან.

ქობელიანის უბნიდან გენერალ-მაიორ მაყაშვილის რაზმის ნაწილების უკან დახვეის მიზეზების გამოსაძიებლად ვნიშნავ კომისიას: რომლის თავმჯდომარეთ იქნება ჩემს განკარგულებაში მყოფის გენერალ-მაიორი ციციშვილი და წევრებათ ჩემს განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორ ჩხეტიანი და ერთი ის შტაბ-ოფიცერი, რომელსაც დანიშნავს ახალციხის და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი მაზნიაშვილი.

5 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 37.

ოფიცერთა ხარისხზე აყვანის განახლების გამო, თანახმად რუსეთ-გერმანიის ომის დროს 1914 წლიდან ვიდრე 1918 წლის 5 ივნისამდე სამხედრო უწყების მიმართ გამოცემულ ბრძანებათა, მუშაობის დაჩქარებით და შეუფერხებლათ წარმოებისათვის სამინისტროს ბიროვნულ შემადგენლობის განყოფილების საჯილდოვო ნაწილიდან ამ ნაწილის საქმეთა შესახებ არაფითარი ცნობა არ იქნება გაცემული. ოფიცერთა ხარისხზე აყვანა რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებებში, სამხედრო ხარისხოსანთა შესახებ, იქნება გამოცხადებული, მხოლოდ წარდგენილობანი, რომელიც სწორათ არ იქნება შედგენილნი, დაუყოვნებლივ უკანვე იქნებიან ნაწილში დაბრუნებულნი. უშუალოდ ვისიმე მიერ საჯილდოვო ნაწილში მოტანილი წარდგენილობანი მიღებულ არ იქნება, რადგანაც ასეთები მხოლოდ ფოსტით ან დასატარებელ წიგნის თან მქონე საგანგებო პირით უნდა იგზავნებოდეს მიღებული უნდა იქმნეს მხედველობაში ის გარემოება, რომ ყოველი ჯილდოზე წარდგენილობა საიდუმლო სა-



ბუთი უნდა იყოს, რომლის შინაარსის ცოდნა შეუძლიანთ მართო უფროსებს, რომლებს წარდგენებს აკეთებენ, ამ უამად კი ხშირია შემთხვევა, როდესაც თვით წარდგენილებს მოაქვთ ღიათ თავისი ჯილდოზე წარდგენილობანი და თან თავისი მხრით სამსახურის თავის ღირსებებზე და სამსახურში შეძენილ წარჩინებებზე განმარტებებს იძლევიან. იმის მიუხედავად, რომ ამით საიდუმლო მიმოწერის წესი ირღვევა, ამას სრული დიპლომატიისა და შეაქვს საჯილდოვო ნაწილის მუშაობაში. ყველა აქ მოხსენიებულ გარემოებათა გამო კატეგორიულათ მოვითხოვ ყველა უფროსებისაგან, რომ მიღებულ იქმნეს საყოველთაო და შეურყეველ სახელმძღვანელოთ ქვემოხსენიებული:

1) ყოველი ჯილდოზე წარდგენილობის შედგენის დროს მტკიცებით უნდა იქმნეს დაკული საიდუმლოება და წარდგენა თვით წარდგენილთა უცოდნელოთ უნდა ხდებოდეს.

2) წარდგენილობა უნდა იგზავნებოდეს დაბეჭდილ კონფორტში ზიდწარწერით „საიდუმლოთ“ ფურცლით ან დასატარებელ წიგნის თან მქონე საგანგებო პირობით, უკანასკნელ შემთხვევაში წარდგენილობანი მხოლოდ სამხედრო სამინისტროს მორიგს მწიარლს უნდა ბარდებოდეს.

3) თუ საჭიროება მოითხოვს რაიმე ცნობის მიღებას, ასეთი ოფიციალურათ უნდა გამოითქვას და გამოიგზავნოს ზემოაღნიშნულ წესით (იხ. პ. 2.)

4) არც ერთი პირი, რომელიც ჯილდოზე წარდგენის შედეგების შესახებ ცნობის მიღებას მოსურვებს ან წარდგენილობის თვითონ გადაცემას, საჯილდოვო ნაწილში დაწვრილი არ იქნება.

1, 2, და 3 პ. აღნიშნულის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ უფროსებს, რომელთა მიერ წარდგენილობა ხელმოწერილი იქნება.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 38**

ჩემს მინდობილობაში მყოფის გენერალ-მაიორ კონიაშვილის ჩამობრუნებამდის ჯარების მთავარსარდლათ სოჭის და სოჭის ოლქებში ვნიშნავ გენერალურ შტაბის გენერალ-მაიორს იოსებ გედევანიშვილს.

აღნიშნულ გენერალს ვუმორჩილებ საქართველოს ყველა სამხედრო გემებს, სამხედრო მხრით კი ყველა ნავთსადგურებს შავზღვაზე რესპუბლიკის საზღვრებში.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 39**

თანახმათ მთავრობის დადგენილებისა 30 იანვარს 1919 წ. № 11, გამოცხადდეს სამხედრო წე-

სები ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში და აღნიშნულ მაზრების გენერალ-გუბერნატორად დანიშნოს გენერალი მაზნიაშვილი, რომ ლსაც დაექვემდებაროს ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირნი და დაწესებულებანი შემოხსენებული რაიონისა.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 40**

ზოგიერთი ჯარების ნაწილები და სამმართველოები როცა წასასვლელს მოწმობას აძლევენ, შიგ არ აღნიშნავენ სახელს და გვარს.

წინადადებას ვაძლევი, რომ ნაწილების უფროსები თავიანთ ვალდებულობას სისწორით და ამისთვის დადგენილ ფორმაზე ასრულებდნენ. (ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ 1907 წ. № 625).

სამხედრო მინისტრის მაგიერ,

გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 41**

სანამ ოფიცერთა და სამხედრო უწყების სამოქალაქო ხარისხოსანთა საატესტაციოთ ახალი საფუძველები იქნებოდეს შემუშავებული, ვაძლევი წინადადებას მიღებული იქნეს სახელმძღვანელოთ და სრულდებოდეს სამწყობრო შემაღენლობის ხარისხოსანთა შესახებ სამხედრო უწყების მიმართ 1912 წლის № 480 ბრძანების მუხლები და გენერალურ შტაბის ოფიცერთა შესახებ—სამხედრო უწყების მიმართ 1913 წლის № 142 ბრძანების მუხლები, რომელნიც 1915 წლის ზაიცვეის გამოცემულ „ადიუტანტთათვის სახელმძღვანელო“ წიგნის მე-9 თავშია შეტანილი და აღნიშნულ წიგნის იმავე თავში მოყვანილი მუხლები—მწყობრ ნაწილებში მოსამსახურე სამხედრო სასანიტარო და სამხედრო საბეითლო უწყების ხარისხოსანთა შესახებ.

ზემოაღნიშნული ბრძანებებით დადგენილის წესის შესაცვლელად ვაარსებ ქვემოთ მოყვანილ საატესტაციო სათათბიროებს:

- 1) დივიზიის საატესტაციო სათათბირო.
- 2) არმიის „ „ „
- 3) უმაღლეს კომისიას.

სათათბიროების შემადგენლობაში შედიან:

1) დივიზიისაში—დივიზიის უფროსი, არა ცალკე ბრიგადების უფროსები, ცალკე ნაწილების უფროსები და დივიზიის შტაბის უფროსი.

2) არმიისაში—სამხედრო მინისტრის თანამშემწენი, უფროსები: დივიზიების, სანაპირო ჯარის, ცალკე ბრიგადების განყოფილებათა უფროსები:

გენერალური შტაბისა, საერთოსი და პიროვნულის შემადგენლობის და საარტილერიო და საინჟინერო-სატეხნიკო სექციათა უფროსები.



3) უმაღლესი კომისიაში — შემადგენლობა განსაზღვრული იქნება სამხედრო მინისტრის მიერ.

4) სანაპირო ჯარში, ცხენოსან ბრიგადაში და არმიის საარტილერიო ბრიგადაში სათათბიროები სდგება დივიზიების სათათბიროთა შემადგენლობის წესის თანახმად.

ატესტაციების განხილვა. 1) დივიზიის სათათბიროში განიხილება ატესტაციები იმ ხარისხოსანთა შესახებ, რომელნიც ნაჩვენებია არიან სამხედრო უწყებისადმი 1912 წ. № 480 ბრძანების მე-12 მუხლის პუნქ.

2) არმიის სათათბიროში განიხილება ატესტაციები შესახებ: არა ცალკე ბრიგადების უფროსების, სანაპირო ჯარის უფროსის თან შემწე ს, ქვეითა და საკავალერიო პოლკების უფროსების, მათი თანაშემწეებს, სანაპირო რაზმების უფროსების და მათი თანაშემწეებს, ცალკე ნაწილების, უფროსების რომელნიც დივიზიის შემადგენლობაში არ შედიან, საარტილერიო ბრიგადების უფროსების და დივიზიონის უფროსების.

3) უმაღლესი საატესტაციო კომისია განიხილავს დივიზიის უფროსების და უფლებით მათთან თანასწორ პირთა შესახებ ატესტაციებს.

აღნიშნულის თანახმად შეტანილი იქნეს შესაფერისი ცვლილება გენერალურ შტაბის ოფიცერთა შესახებ საატესტაციო წესშიც.

საატესტაციო სათათბიროთა ვადები: 1) დივიზიის საატესტაციო სათათბირო უნდა შეიკრიბოს ამ წლის 15 მარტს, რომელ დროისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნას დივიზიის სათათბიროში განსახილველი ზემო დასახელებულ ხარისხოსანთა ატესტაციები; 1-ლი ქვეითა დივიზიის სათათბირო ადგილათ ვნიშნავ ქ. ქუთაისში, დანარჩენ ნაწილებისათვის — ქ. ტფილისში.

2) არმიის საატესტაციო სათათბირო უნდა შეიკრიბოს ამ წლის 1-ლ აპრილს ქ. ტფილისში სამხედრო სამინისტროში, რომელ დროისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნას სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებაში ხარისხოსანთა არმიის სათათბიროში განსახილველი ატესტაციები.

საათი და კრების ადგილი აღნიშნულ სათათბიროთა თავმჯდომარის მიერ იქნება განსაზღვრული. სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

29 იანვარი 1919 წ. ქ. თბილისი.

№ 32

§ 1.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების რკინის გზებით და ზღვით გადაყვან-გადმოყვანის გამგეობას, თანახმად ცალკე დაწესებულებისა, ვანდობ

ჩემდამი რწმუნებულ გენერალურ შტაბის განყოფილებების სამხედრო გზათა მიმოსვლის ნაწილის უფროსს, რომელსაც ეწოდებოდეს: საქართველოს რესპუბლიკის ჯარების რკინის გზებით და ზღვით გადაყვან-გადმოყვანის გამგე და სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილების სამხედრო გზათა მიმოსვლის ნაწილის უფროსი“.

ჯარის გადაყვან-გადმოყვანის გამგე სარგებლობს პოლკის უფროსის უფლებით.

§ 2.

ფოთის რადგურის და ნავთსადგურების კომენდანტის მმართველობა გადაყვანილ იყოს 2-რე ხარისხიდან 1-ლ ხარისხზე.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 33

ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ 1918 წ. 29 დეკ. თარიღით № 188 გაუქმებულ იქნას.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 34.

დასამატებლად ბრძანებებისა სამხედრო უწყების მიმართ 1918 წ. 13 სექტემბრის თარიღით № 80 და 1919 წ. № 15 გენერალ-მაიორის მაჭავარიანის კომისიის ევალება გაუქმეთოს რევიზია და განხილვა ანგარიშებისა შემდეგ დაწესებულებებს:

საბინაო სექციას: 1. შეშის საწყობს, 2. ტყის სახერხს ქარხანის, 3. სამასალო საწყობს.

საინჟინერო-სატეხნიკო სექციას: 1. საავტომობილო სახელოსნოს, 2. გარაჟს, 3. საავაციო პარკს, 4. საავაციო სახელოსნოს, 5. სამასალო საწყობს.

საადმინისტრაციო განყოფილების სტამბას, ფეხსაცმელის სახელოსნოს, სამკერვალოს.


სასანიტარო განყოფილების სააფთიაქო მაღაზიას, მეორე დივიზიის მე-4 და 5-ე პოლკებს და ცხენოსან ბრიგადის 1, 2 და 3 პოლკებს.

აღნიშნულ დაწესებულებათა რევიზიის გაკეთების გარდა, კომისიამ გადაარჩიოს წიგნები ყველა სამხედრო უწყების ბიბლიოთეკების, შეადგინოს სრული კატალოგი და წარმომიდგინოს მე.

29 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 35.

სახელმწიფო კონტროლიორმა, მონაწერთან 16 ამ იანვრისა № 718, გამოიმგზავნა პირები აქტებისა №№ 51, 52, 53 და 55 რესპუბლიკის ჯარის პირველის ქვეითა დივიზიის ნაწილებში მომხდარის რევიზიის შესახებ, და შემატებინა, რომ რევიზიის დროს აღმოჩენილი ანგარ შის წარმოების უმართებულობანი და ნაკლულევანებანი გამოიხატებინა ქვეყნად მოხსენებულა დივიზიის თითქმის ყველა ნაწილებისთვის ტიპიურს მოვლენებში.



1. ჯარის ნაწილებისთვის კუთვნილი ფული ოფიცერთა, საკლასო ხარისხოსანთა და ჯარისკაცთა კმასაყოფელად თავის დროზე კი არ ითხოვებიან საინტენდანტოთგან, არამედ დიდის დაგვიანებით. მაგალითად, პირველის საარტილერიო ბრიგადის სამმართველო აღგენს და უგზავნის საინტენდანტოს დაწესებულს მოთხოვნის უწყებებს ფულის მისაღებად ჯამაგირით, სურსათით, მისახარებით და სხვებით კმაყოფისათვის პირველად მას აქეთ, რაც იგი შედგენილყოფილ იქნა (დეკემბერში 1917 წ.) მხოლოდ გასულის 1918 წლის ოქტომბრის თვეში. ამ დრომდე ხსენებული სამმართველო იოლად მიდიოდა მარტოდ ავანსებით, რაიცა ნამეტნავად რეეს ანგარიშს: დივიზიის სხვა ნაწილებიც მეტის თუ ნაკლების დაგვიანებით გზავნიან მოთხოვნის უწყებებს. ამით ირღვევა ს. დ. კრ. XIX წიგ. 13 და 23 მუხლი და აგრეთვე 5 და 7 პუნქტი ბრძანებისა ს. უ. მიმართ 1913 წ. № 8.

2. მოთხოვნის უწყებები, ფულის მიმღებთაგან ხელმოწერილნი და სურსათით, მისახარებით და საქონლის საკვებით კმაყოფის საანგარიშო ფურცლები ან სრულებით არ იგზავნება კონტროლში ან იგზავნება უდროოდ დროს დაგვიანებით, რითაც ირღვევა ს. დ. კრ. XIX წიგ. 1293 და 1287 მუხ. და აგრეთვე 4 პუნქტი ბრძანებისა ს. უ. მიმართ 1869 წ. № 376.

3. რაკი საინტენდანტოთგან ფულს თავის დროზედ არ ღებულობენ, ჯარის ნაწილები რასაკვირელია ახმარებენ მის პირდაპირს დანაშნულებას კი არა, არამედ ნაწილის ნამდვილს მამდინარე საჭიროებებს. ამნაირად, ერთს თვეში ფული, მიღებული ოფიცრების ჯამაგირებისთვის, იხარჯება მისახარებით ან საქონლის საკვებით კმაყოფისათვის, მეორე თვეში კი წინაუკმო, და სხ. ამას მოსდევს დაუსრულებული გადარიცხვა ჯამებისა ფულის ჟურნალში ერთის სვეტიდან მეორეში, რაიცა ნამეტნავად რეეს ანგარიშს: მაგალითად, ზოგიერთს ნაწილებში რევიზიის დღისთვის ძნელი იყო სწორედ განსაზღვრა სახელდობრ რავდენი ყოფილა მიღებული და დახარჯული „გარდამავალი“, სამეურნეო და სხვა თანხა.

4. უმართებულო წარმოება ფულის ჟურნალისა, „შენახულობის ნუსხისა“ და სხვა წიგნებისა. სახელდობრ, მიღებული ფული იწერება შემოსავალგასავალში არა შესაბამს სვეტებში; მაგალითად თანხა, რომელიც უნდა ჩაწერილიყო „სამეურნეო თანხის“ სვეტში, იწერება „გარდამავალის თანხის“ ან „სხვა და სხვა თანხების“ სვეტში და სხვ. ამით ირღვევა ს. დ. კრ. XX წიგ. 38 მუხ. და ამას გარდა რეეს ანგარიშს.

5. ყურადღებას იქცევს „ვალად წაღებული“ ბის საბუთების“ აუარებელი რიცხვის დაწესებას ლები, რაკი მიღებულს ფულს სხვა და სხვა მიზეზებით ხარჯავენ არა პირდაპირის მის დანიშნულებისამებრ, იძულებულნი არიან მუდამ ილონ ხოლმე სესხი პოლკის თანხებიდგან ვალად წაღებულობის საბუთებით. ზოგიერთს ნაწილებში ფულის მიცემა „საბუთებით“ გადაქცეულა ნაწილის ყველა სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილების ერთადერთს საშუალებად. რასაკვირელია, ამით ირღვევა კანონის ძირითადი აზრი ს. დ. კრ. XX წიგ. 40 მუხ., სახელდობრ: ამ მუხლის მიუხედავად, ა) სწარმოებს ფულის მიცემა საბუთებით პოლკის თანხების ნამდვილს მდგომარეობასთან შეუსაბამებლად და ბ) ფული ეძლევათ უვადო და გრძელვადიანს სესხად პოლკის თანხებიდან იმისთანა საგნებისთვის, რომელნიც არ არიან უზრუნველყოფილნი ხაზინითგან ფულის ერთდროულის გაცემით.

და 6. ფულს, რომელიც უნდა უბრუნდებოდეს ხაზინას შემოსავლად და კრედიტის აღადგენად როგორაც: ზედმეტად გამოთხოვილი ფული ხარისხოსანთა კმასაყოფელად, ფული, აღებული სახაზინო ქონების გაყიდვითგან, დაშლილის ნაწილების თანხათა ნაშთები და სხვ. ჯარის ნაწილების თანხათა ნაშთები და სხვ. ჯარის ნაწილები არ უბრუნებენ. მაგალითად, დივიზიის შტაბს არ დაუბრუნებია 279,136 მან. დაშლილის ნაწილების თანხების ნაშთები და სხ. და 1 საარტილერიო ბრიგადის სამმართველოს არ დაუბრუნებია ხაზინის შემოსავლად 16, 137 მან., აღებული წუნდაღებულის ცხენების გაყიდვითგან. ესეც დარღვევაა კანონისა, სახელდობრ: ს. დ. კრ. XIX წ. 5 მუხ. და აგრეთვე 12 მუხლისა ბრძანებისა ს. უ. მიმართ 1913 წ. № 8.

ვაცხადებ რა მოხსენებულს და ვპოვებ რა რევიზიის მიერ აღმოჩენილს ნაკლულევიანებას და უმართებულობას ნამეტნავად სამწუხაროდ და ხაზინისთვის საზარალოდ, წინადადებას ვაძლევ 1. ქვეითა დივიზიის უფროსს დაუყოვნებლად მოსპოს დივიზიის ყველა ნაწილებში შემჩნეული უწყისობანი და ამას იქით არ დაუშვას ისეთი რამ, ხოლო რესპუბლიკის სხვა ჯარის ნაწილების სამართველოების და დაწესებულებების უფროსებს—დაუყოვნებლად შეუდგენენ ცალკე კომისიების საშუალებით ანგარიშის წარმოების შემოწმებას მათ ხელქვეითს ნაწილებში და, თუ აღმოაჩენენ უმართებულობას, მოსპონ იგი და საკვალოდ მკაცრად იხელმძღვანელონ ანგარიშის წარმოების შესახებ დადგენილი წესები და კანონები, რომ აღარ იქნან



გამეორებულნი ის სამწუხარო ნაკლულფვანებანი, რომელნიც აღმოჩენილნი არიან რევიზიით 1 ქვეითა დივიზიის ნაწილებში. ამასთან წინდაწინ ვაუწყებ, რომ ამ ბრძანების შეუსრულებლობისთვის ბრალეულებს მოვეპყრობი კანონის მთელის სიმკაცრით მათ პირადის და ნივთიერის პასუხისგებინებით.

7 თებერვალი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

№ 36

ვნიშნავ კომისიას პოლკოვნიკის ქაეთარაძის თავჯდომარეობით, რომლის წევრებათ იქნებიან—საადმინისტრაციო განყოფილებიდან პორუჩიკი მაჭავარიანი და საერთო განყოფილებიდან კოლეესკი ასესორი ნეიშანი, კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით, განსახილველად ჩემდამი რწმუნებულ სამინისტროში შემოსულთ ჯარის ნაწილების, სამმართველოების და დაწესებულებების ხარისხონსათა მოთხოვნათა, რომ მიეცეთ განსხვავება ფულით კმაყოფისა სპარსეთის ვალუტის მიხედვით, მთლად იმ ხნისა, რაც გაუტარებიათ სპარსეთში ყოფილის კავკასიის ჯარების ნაწილებში.

10 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 37

პარტახტიან სახადთან საბრძოლველად ვბრძანებ: ვიღრე მთავრობისგან საბოლოოდ დამტკიცდება სამხედრო სამკურნალოების შტატები, ფოთის ლაზარეთი საჩქაროთ იქმნეს გაფართოვებული 100 საწოლამდე. პირველი დივიზიის უფროსმა მოახდინოს სასწრაფო გაეკირგულება, რათა ფოთის ლაზარეთში დაინიშნოს დივიზიიდან 30 მოსამსახურე ჯარისკაცი.

ეხლავე განთავისუფლდეს ქალ. ფოთში ბინა, რომელიც ოფიცერთა კრებულს უჭირავს და გადაეცეს ფოთის ადგილობრივ ლაზარეთს.

ექიმებს, რომლებიც მუშაობენ სამხედრო სამკურნალოების პარტახტიან სახადით ავთამყოფთა განყოფილებებში დაენიშნოთ ზედმეტად დღიური გასამრჯელო 25 მანეთი, მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, როდესაც ისინი დანამდვილებით მუშაობდნენ ამ განყოფილებაში.

მოთხოვნილებანი ასეთი დღიურ გასამჯელოს მისაღებად უნდა შემოწმებულ იქმნას ხოლომე სასანიტარო განყოფილების უფროსის მიერ.

დანარჩენ სამედიცინო შემადგენლობას (ფერულებს, სათნო დებს, სანიტარებს, მომვლელ ქალებს) როგორც ნებით დაქირავებულს, ისე სამსახურში ვალდებულს, თუ კი ისინი მუშაობენ პარტახტიან სახადით ავთამყოფთა განყოფილებაში


მიეცეთ ჯამაგირი ერთ ნახევრის ანგარიშით თან შედარებით, ვინც აღნიშნულ განყოფილებაში არ მუშაობს.

მთელ იმ სამედიცინო პერსონალს, რომელიც მუშაობს პარტახტიან სახადით ავთამყოფთა განყოფილებაში მიეცეთ დღიურად:

პური 2 გირვანქა, შაქარი 16 მისხალი, ქონეულობა 24 მისხ. ვისთვისაც დადებულია ჯარის კაცის ულუფა—ულუფით და დისთვისაც არა, მაშინ ფასად.

სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე.

## არა ოფიციალი განყოფილება.



ნ. ბ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრი.

ტფილისი, 23 მარტი.

## სამხედრო მინისტრის გამოცხადება

თანამდებობის დატოვების გამო. მძიმე წუთები განიცადა ჩვენში ქვეყანამ სამხედრო სამინისტროს მეთაურობის დროს: შინაური ანარქია და მასთან ბრძოლა, ომი სომხებთან და ოსმალების აგენტების გამოსვლა ახალციხე ახალქალაქის მაზრაში. ამ მომენტებში დასმული იყო საკითხი ჩვენი არსებობისა, საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული წესწყობილებისა.

ქართველი მხედრობა თავგანწირული შეგნებით შეხვდა ამ მომენტებს და თავის სისხლით, სახალხო გვარდიასთან ერთად დაიცვა საქართველოს თავისუფლება და დემოკრატიული წესწყობილება. შულავერას და აწყურას ფრონტზე, საჩხერის და ლეჩხუმის შიდამოებში, მე პირადათ მოწმე ვიყავი ჩვენი მხედრობის ვაჟკაცობისა და თავგანწირვისა.

ქვეყნის დაცვასთან ერთად, რომელიც მუდმივ ბრძოლას მოითხოვდა, უნდა მომხდარიყო მთელი



სამხედრო სისტემის და აპარატის განახლება. ამ მძიმე პირობებში თქვენი დახმარებით მე ესეც შეეძლო. შექმნილი სამხედრო სისტემა და აპარატი თვით ცხოვრებამ გაამართლა; მათი მეოხებით თქვენ მტერი რამდენჯერმე შემუსრეთ, — შულავერთან, აწყურ-ახალციხესთან და ფოცხოვში.

გზა გაჩარხულია, მიზანი აღებულია, საშუალება გამოძებნილია. თქვენ დაინახეთ შეერთებული დისციპლინალური ძალის აუკვილებლობა და ძლევამოსილება; თქვენ იგემეთ სიტკბოება მოვალეობის ასრულებისა; თქვენ მსხვერპლი ვაიღეთ და განიცადეთ გრძნობა გამარჯვებულისა.

ვინც თავის მოვალეობის აღსრულების დროს დაიღუპა. მათ ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკითქვენ კი, ქართველო მხედრობავე, დღეს, როდესაც მე თქვენ ხელმძღვანელობას თავს ვანებებ, სამშობლოს სამსახურისათვის მადლობას გიძღვნი, და იმედო მაქვს, რომ თქვენ კვლავაც მუდამ მზათ იქნებით საყვარელი სამშობლოს დასაცავათ.

**მადლობის გამოცხადება.**

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ შემდეგი დეპეშა ვაუგზავნა ახალციხეში — გენერალ კვინიტაძეს, სოხუმში — გენერალ გედევანიშვილს; 1 დივიზიის უფროსს გენერალ ართმელაძეს, 2 დივიზიის

უფროსს გენერალ ფურცელაძეს და ქუთაისის გენერალ-ნიჰონის უფროსს: ვტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს-გაშაგიცადოთ თქვენ, თქვენს შტაბს და თქვენდამი რწმუნებულ რაზმს გულწრფელი მადლობა იმ შრომისთვის, რომელიც გასწიეთ რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

21. სოხუმის სახალხო გვარდიის შტაბს: „ვტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, გთხოვთ გადასცეთ გვარდიას ჩემი გულითადი მადლობა იმ შრომისთვის, რომელიც მან გასწია რესპუბლიკის დაცვის საქმეში. სულით და გულით ვუსურვებ ჯარს და გვარდიას ძმურ, შეერთებულ მოქმედებას დენიკინის შავი რეაქციის მოგერების საქმეში.“

აახალციხის სახალხო გვარდიის შტაბს: ვტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, გთხოვთ გადასცეთ გვარდიას ჩემი მადლობა რესპუბლიკის დასაცავათ თავგანწირულ მოქმედებისთვის. სულით და გულით ვუსურვებ ჯარს და გვარდიას ძმურ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედებას კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლების ჩაქრობის და რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

**სამხედრო მინისტრი გიორგაძე.**



ყოფილი სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე და მისი უახლოესი თანაშემწენი:

- 1) გენ. იმნაძე. 2) გენ. ვ. წულუკიძე. 3) გენ. გ. ქავთარაძე. 4) პოლკოვნიკი თულაშვილი. 5) პოლკ. კ. ბერიძე.
- 6) პოლკ. კ. ჯანდიერი. 7) პოდპოლ. კ. ხომერიკი. 8) პოდპოლ. ა. ცხვარელი. 9) კაპიტანი გ. გიორგაძე. 10) როტ-მისტრი ნ. ამილახვარი. 11) კაპიტ. დ. ვოცირიძე. 12) კაპიტ. ი. გებელაძე. 13) კაპიტ. გ. ქარცივაძე. 14) შტ.-კაპ. ა. სულიკაშვილი. 15) შტ.-კაპ. გ. აფხაზი. 16) შტ.-კაპ. მ. გედევანიშვილი. 17) პორუჩ. ა. იაკობაშვილი. 18) დ. კარიჭაშვილი. 19) ცვეტოვი.





# სწავლა განათლების საკითხი ჯარში.

სწავლა განათლება რომ მთავარი საქმეა ცხოვრებაში, ეს ჩვენმა ერმა კარგათ იცის. იმიტომ არის, რომ ქართველი, სოფელელი იგი თუ ქალაქელი, მიუხედავად თავის ფინანსიურ და მატერიალურ მდგომარეობისა, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რათა თავის შეილება ცოტათ თუ ბევრათ ნასწავლნი გამოიყვანოს, უფიცნი არ დასტოვოს. ძველ დროში, როდესაც ხალხის ინტერესებს ფეხით სთვლავდა დესპოტიური მთავრობა, სასტიკად ებრძოდა და სდევნიდა განათლების ასპარეზიდან ხალხის შეილებს, რათა მათ არ ჩაეხედათ თავისი საკუთარი თვალებით ცნობრების სარკეში და შიგ არ დაენახათ თავის დამამცირებელ მდგომარეობა და პასუხი არ მოეთხოვათ მისთვის, მასთან კიდევ სოფლის გლეხს არც-კი შეეძლო მაშინ სასწავლებელში მიეცა შეილი ხელმოკლეობის გამო, გასაკვირალი არ არის, რომ ჩვენს სოფლებში ახალგაზრდობის მოზრდილი ნაწილი ქართულ წერაკითხვის უცოდინარათ იზრდებოდა. რა გასაჭირს განიცდიდა ჩვენი ახლად-გაწვეული ჯარის კაცები რუსეთში-რუსული ენის უცოდინარობის გამო, ამას აღვიღათ წარმოიდგენს მკითხველი, მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ ჯარის კაცებისთვის ქართული ენაც ვერ არის მთლად მისახლამი. სამშობლოს და ერის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ყოველმა ჯარის კაცმა ცოტათ თუ ბევრათ გაეცნოს ქართულ ენა-კაზმულობას, შეითვისოს მისი ახალ შექმნილი სიტყვები და ტერმინები. ამ ნაკლის შესავსებლათ და ჯარის კაცთა ცოტადღენ პოლიტიკურათ განსაფიქრებლათ ერთად-ერთ დაწესებულებათ უნდა ჩაითვალოს ჯარის კაცთა უნივერსიტეტი, რომლის მოსაწყობათ იყო აღძრული შუამდგომლობა უმაღლეს ინსტანციისადმი 1-ლი ქვეითა დივიზიის ინსტრუქტორის პოლკოვნიკ ართემლიძის მიერ, გასულ 1918 წელში ნოემბერში, რის შესახებ მან თანხმობაც მიიღო და ქუთაისის ქალაქის გამგეობამ-კი, ამ დიად დაწესებულებისთვის „შენობაც“ დაუთმო, (ყოფილი რესტორანი „ცისკარი“ რიონის პირად). მაგრამ სამწუხაროთ ეს საქმე ჯერჯერობით ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი და არც ამის შესახებ რაიმე მუშაობას ვხედავთ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მუდმივმა ომებმა ძალიან შეაფერხა იმ საქმის მოგვარება, მაგრამ ამ საქმეში ბევრი რამ-კი იყო შესაძლებელი, მაგალითად: ყოფილიყო არჩეული კომისია, რომელსაც ემუშავნა ჯარის კაცთა უნივერსიტეტის საძირკველის ჩასაყრელად, რაც ჩემი აზრით შესაძლებელიც იყო,

იმიტომ, რომ მიუხედავად ომიანობისა, ქუთაისის გარემოში მაინც რჩებოდნენ ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებიც სახსებით შეუძლებოდათ ამ საქმის მოწყობისათვის მუშაობას. არც ინტელექტუალურ მხრით იქნებოდა დაბრკოლება რადგანაც ჩვენ ჯათში, ღვთის მადლით, საკმაოთ მოგვეპოვება შეგნებული პიროვნებები, როგორც ოფიცრებში, ისე ჯარის კაცებში, და ისინიც ჩვენი ჯარის სულიერ აღზრდაში, აღფრთოვანებით მიიღებდნენ მხურვალე მონაწილეობას. რასაკვირველია, ეს საქმეც მოითხოვდა შესაფერ მუშაობას, მაგრამ ვისაც სურს, რომ ჩვენი ჯარი იყოს მტკიცეთ შეკავშირებული, როგორც სულიერათ, ისე ზნეობრივათ, შეეძლოს თეთრის შავისაგან გარჩევა და სამშობლოსათვის კიდევ უფრო კმირულათ თავის დადება, მან უნდა გაასკეცებულ ენერგიით მოჰკიდოს ხელი ამ დიადი საქმის საძირკველის ჩაყრას და რამდონათაც შესაძლებელი იქნება, არავითარი საშუალება არ უნდა დაიშუროს ჯარში სწავლა-განათლების განმახორციელებელ საქმისთვის. ვიშედობ, ამ გამოძახილს გამოეხმაურებიან სხვა ამხანაგებიც, რომლებიც საკითხით დაინტერესებულნი არიან და თავიანთ შეხედულებას გააცნობენ ჩვენსსაზოგადოებას. ქუთაისში-კი უსურვებ პოლკოვნიკ ართემლიძეს, როგორც ჩვენი ჯარის მასწავლებელ და სწავლა-განათლების შექმნელს ქართველ მხედართა ოჯახში, დაწყებული საქმე დაებოლოვებიოს და ჩვენი ჯარისთვის სწავლა-განათლების ლამბარი აენტოს. თქვენც ინტელიგენტო ჯარის კაცო და ოფიცრებო, შიამციეთ ამას განსაკუთრებული ყურადღება და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენა მუშაობა მალე შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს.

სამსონ რუსიეშვილი.

## გურის სახალხო გვარდიელები ბრკელის ველში\*).

26 დეკემბერი. დილის 12 საათზე ვაეშურენით მალღობებისაკენ დარაზული. მალღობებიდან მტრის ძალებიც გამოჩნდნენ; ისინი მიზანში ამოვიღეთ და რამოდენიმე წუთის შემდეგ ასტეხეს სროლა. ქვემოქალის რაზმმა: „დედა შეერთოს ცოლათ ვინც უკან ჩამორჩესო“, დასძახა და გაწია წინ სირბილით, მას მიყვა მთელი 2-რე გუნდი ოფიც. სამხარაძის მეთაურობით. გაიშართა საშინელი სროლა, ტყვიები სეტყვასავით მოდიოდა. პირველი გუნდიც საშინელი ტყვიის წვიმაში იმყოფებოდა და იძულე ბული გახდა შეეჩერებინა წინ სვლა. საღამო მოახლოვდა და ბრძოლაც შესწყდა... ღამის თათბირმა გვხერალ ჩხე-

\* იხ. „რ. ჯარი“ № 15



ტიანთან შეტევის ხაზი ცოტა შეგვაცვლევინა და დილი-სათვის მოვემზადენით.

27 დეკემბერი, საშინელი ბრძოლა. ტყვიის ფრქვე-ველები საშინელი ტყვიის ცეცხლს აყენებდა მტერის სანგრეებს და გაისმის ტატა... ტა... აქ თოფებიდანაც "ზალპებიც" თან ყვება და საცა არის უნდა ვადავინენ შეტევაზე. მოისმის შიშის მომგვრელი ერთის მხრით და გამარჯვების ყიჟინა "ურაა"... ა... ა... და თან ტყვისფრ-ქვეელებიც დაუცხრომლად მოქმედებენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ვავიგეთ, რომ ჩვენებს ბრწყინვალეთ გაუმარჯვ-ნიათ, ხელში ჩაუგლიათ ორი ტყვიის მფრქვეველი "მაქ-სიმის" სისტ., 18 ყუთი ლენტები და რამოდენიმე ცალი ვინტოკები თავისი ტყვიებით. ყველა ზემო ჩამოთვლილი სამხედრო ქონება ჩამოიტანეს. ამან ძლიერ აღაფრთოვა-ნა ყველა იქ მყოფი სახალხო გვარდიელი. ამავე დროს მე-ორე გუნდის სიმაგრეებიდანაც ჩვენებმა შეუტრეს, მაგრამ მტრის არტილერიამ ცეცხლით გვიპასუხა და ირგვლივ მიმოფანტა „გრანატები“ დაბლობზე. მაგრამ ეს არ არ-ყვეს სულიერ მდგომარეობას და მაინც გააფთრებული წინ მივიწვიეთ. ალაპარაკდნენ ჩვენი ტყვიის ფრქვეველები ამას ემატებოდა გვარდიელებისა და ჯარის კაცების ერთ-თათ ვაშკაცური ყიჟინა „ურააა“ მაგრამ მიუხედავად ამი-სა ამ შეტევამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. მტერ-მა დაგვიშინა სამი მხრიდან და იძულებული გაგვიხდა ძველ პოზიციებზე დავმდგარვიყავით. ამ დღეს დაგვრჩა ათიოდე დაჭრილი და ერთი მკვდარი, საღამოც მოახლოვდა... ბრ-ძოლაც მიუჭრდა... დილის მოახლოვება ძლიერ გვეჩქარე-ბოდა, რადგანაც ასეთი იყო სურვილი მებრძოლი და უშიშარი გმირებისა... გაჩაღდა ცეცხლი ჩვენს პოზიციაზე და იწყება სჯა,—ბაასი და კამათიუკვე წარმოებულ ბრძო-ლის შესახებ და აგრეთვე საერთო მდგომარეობაზე და საერთო აზრი ინასკვება იმაში, რომ ჩვენი ბრძოლა გა-მარჯვებით უნდა ვავათაოთ და თუ არა, უკეთესია სიკვ-დილი ვიდრე ისევ ძველ პირობებში ცხოვრების განაგრძო-ბა. დღის ბრძოლით დაღლილებმა ჩავფიქრეთ და გაგ-ვეღვიძა სწორეთ მაშინ როდესაც დილის რიფ-რაჟი კა-რზე მოგვადგა. დაიწყო მარჯვენა და მარცხენა მალლო-ბზე სროლა. ცოტა ხნის შემდეგ საერთო კაკაფონიას პოზიციებზე ჩვენი ტყვიისფრქვეველებიც შეუერთდნენ... ჩვენი არტილერიაც ახმაურდა და მთელი თავისი სიძ-ლიერე მარცხენა ფრთის მალლობებზე ამოძრავა, ამას მოყვა ჩვენი საერთო შეტევაც. პირველი ეკვეთა მტერს სახალხო ევარდიის გორის მაზრის მე 2-რე გუნდი პორ. კ. სამხარაძის მეთაურობით. ბრძოლამ ვასტანა სამი საათი.. იერიშები ორივე მხრით სასტიკი იყო, მაგრამ მტრის ტყვიისმფრქვეველებმა და საღამოს მოახლოვებამ ვერ მო-გვცა საშუალება ამ მალლობზე დავრჩენილიყავით და პატარა უკან ვავმარდით... ბრძოლის შემდეგ დავიწყეთ შინჯვა თუ ვინ გვაკლდა, როგორც გამოირკვა ოფიც. სამხარაძე და ექვსი სახალხო გვარდიელი გამოკლებოდა

ჭრილობის გამო. საერთოთ დღევანდელი ბრძოლის შედეგად ვერ კმაყოფილი დავრჩით, რადგანაც შეტევის სასტიკობა ვეკვეთენით და რამოდენიმე ათეული მათ რიცხვებს მო-ვაკელით. აღსანიშნავია ისიც რომ ამ ბრძოლის ველზე სახალხო გვარდია და ჯარის ნაწილები ძლიერ შეკავში-რებულნი და ერთი მიზნით გამსჭვალულნი მედგრაო უტე-ვდენ მოწინააღმდეგეთ... მინელდა ბრძოლა... ლამე მთვა-რიანია... არსაიდან ხმა. აი ავერ მთის ვადაღმა მტერია.. ზოგიერთი ჩვენთაგანი მივდივართ სათათბიროთ გენერა-ლთან, სადაც ვადავწყითეთ, დილას რათაც უნდა დაჯდეს საერთო შეტევა დავიწყეთ და მოხდეს ჩვენი სიმაგრეების ძალთა გამაგრება. 29 იანვარს გათენებისას ორივე სიმაგ-რეებზე ჩვენი რაზმები დაიძრნენ ადგილიდან და ნელ-ნელა მიდიან სიმაგრეების ასაღებათ. დღე თან და თან სა-უცხოვო ხასიათს იღებს. იშვიათი მზის სხივები მიმოფა-ნტულია. სითბოც მატულობს, თითქოს ჩვენ გამარჯვებას გვილოცავს და თავისი უხვი ალერსით თავს გვეხვევა. მალე ორივე სიმაგრე მარჯვენა და მარცხენა ფრთისა ჩვენს ხელთ არის... ჰაერში გამოჩნდა აეროპლანი, ეტყობა ჩვე-ნია, რადგანაც რამოდენიმე ყუმბარა შესთავაზა შულავე-რის მიდამოებს. ორივე მალლობებზე აუარებელი დახო-ცილები დარჩენოდათ მტრებს და მათ შორის ოფიცრე-ბიც ერია. ეს იყო შედეგი გუშინდელი შეტევისა, მათ შო-რის ტომით რუსეთებიც ერივნენ... ჩვენ განვაგრძობთ წინ სვლას, და საათის 12 ჩვენ შეტევებს და გააფთრებულ ბრ-ძოლებს მტერზე დიდი ვავლენა მოეხდინა. მთელი ეს სი-მაგრეები სასწრაფოთ დაუტლია. შულავერში შესვლამდე მოგვივიდა ცნობა ჩვენი ჯარის სადახლოს მიმართულე-ბით გამარჯვების შესახებ და ეს კიდევ უფრო გვამხნე-ვებს. შულავერში აუარებელი სამხედრო ქონება ხელთ ვი-გდეთ. შულავერის შემდეგ ჩვენ ბოლნის ხაზინისკენ ვი-ხლება წასვლა აქ ჩვენ გვინახულა საქართველოს რესპუ-ბლიკის სამხედრო მინისტრმა ბ. გ. გიორგაძემ. აქვე იყო ჩვენი გვარდიის მთავარი ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი ჩვენ რამოდენიმე დღე დავყავით ს. გვრინჯუქში და ვარდის-უბანში. 11 იანვარს 1919 წ. თანახმად ეკატერინოფელ-დის შტაბის განკარგულებისა ჩვენ გამარჯვებულნი მოვე-შურებით შინისაკენ იმ იმედით, რომ ასევე დარაზმული და ერთი იდეთ შეკავშირებულნი, ჩვენს ძმებთან-ჯარის კაცებთან, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლიდან ყოვე-ლთვის გამარჯვებულნი გამოვალთ.

ერთი ამ გვარდიელთაგანი.

**შვეიცარიის ჯარი\*).**

(მოკლე ცნობანი)

რაც შეეხება მილიციის კადრის განსწავლას, ესე იგი უნტერ-ოფიცრების და ოფიცრების მომ-

\*) იხ. „რ. ჯარი“ № 15.



ზადებას, — იგი შემდეგში მდგომარეობს: მოსამზადებელ კურსებს გარდა, რომელსაც გადის ყველა სამხედრო ვალდებული, არსებობენ აგრეთვე ეგრეთ წოდებული „კადრის კურსები“, რომლის ვადა უნტერ-ოფიცრებისათვის შეიცავს 20—35 დღეს, და ოფიცრებისათვის — 80—105 დღეს. როგორც შეუძლებელია უნტერ-ოფიცრის წოდების მიღება ისე თუ სარეკრუტო და მოსამზადებელი კურსები არ გაიარა, სწორეთ ასევე შეუძლებელია უნტერ-ოფიცრებიდან ოფიცრათ გახდომა, თუ წინასწარ არ გაიარა საუნტერ-ოფიცრო კადრის კურსის ამის გარდა უნტერ-ოფიცრის ოფიცრათ გახდომა, გარდა უფროსთა ატესტაციისა მოითხოვს „მოსამზადებელ საოფიცრო შკოლის“ გავლას, სადაც მეცადინეობა სწარეობს 80-დან 150 დღემდე, იმის დამოკიდებულებით, თუ იარაღის რომელ დარგში სწავლობენ (საერთო ჯარში-60, სანიტარულ და ადმინისტრაციულში—45 დღე). სამსახურში დაწინაურებისთვის ოფიცრს ევაკირება „ცენტრალური შკოლის“ კურსის გავლა. პირველი კურსი პორუჩიკებისთვის, რომელნიც ემზადებიან რაზმის უფროსისათვის, ვადით-30 დღე; მეორე კურსი კაპიტნებისათვის, რომელნიც ემზადებიან მაიორის თანამდებობაზე, — კურსი-50 დღე. მესამე კურსი-პოდპოლკოვნიკებისათვის, ვადით-28 დღე.

უმაღლეს სამხედრო განათლების მისაღებათ ოფიცრები ვადიან სამხედრო განყოფილების კურსს ციურისის პოლიტექნიკუმში. კურსის ვადაა — სამი ნახევარი წელი.

რადგან ყველა ჯარი რესპუბლიკის კანტონებთან შეფარდებით ტერიტორიალური სისტემით არ დგება, ამიტომ შევიცარიის სამხედრო ძალა განიყოფება კანტონალურ და ფედერალურ სამხედრო ძალად. უკანასკნელი ხდება შევიცარიის კავშირის ყველა კანტონების კონტინგენტებიდან. ამ ჯარს ეკუთვნის დივიზიის ცხენოსანი ჯარი, სატყვიის მფრქვეველო რაზმი, სამთო ბატარეა, საპარკო რაზმები, საციხოვნო, საინჟინერო და დამხმარე ჯარები, სხვადასხვა ბატარეის ნაწილი და საპოზიციო არტილერია.

ერთი თანამდებობიდან მეორეზე ასვლა კანტონალურ ჯარში, მაიორის თანამდებობამდე დამოკიდებულია კანტონალურ სამხედრო ძალისაგან, ფედერალურ ჯარში კი და აგრეთვე პოდპოლკოვნიკების მიღება და უფრო ზევით საერთოდ და დანიშნა უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე ხდება ფედერალურ სამხედრო დეპარტამენტის მიერ. (რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო).

**ჯარის შედგენის ტერიტორიალური სისტემა.**

მიუხედავთ იმისა, რომ შევიცარიის ჯარი გა-

ყოფილა ფედერალურ და კანტონალურ მანერაში, მაინც ჯარის შედგენა დამყარებულია ალურ სისტემის პრინციპზე, რადგან ფედერალური ჯარი მთელი ჯარის უმცირეს ნაწილს შეადგენს. ჯარის შედგენისთვის შევიცარიის ტერიტორია დივიზიების რიცხვის მიხედვით დაყოფილია ექვს „სადივიზიო ოლქათ“, რომლიდანაც თვითეული ოლქი აღგენს ყველა სახაზო და მსროლელ ბატალიონს და შემოღებისგვარად ყველა დანარჩენ ნაწილს, რომელიც დივიზიაში შედის. თვითეულ სადივიზიო ოლქში შედის რამდენიმე კანტონი მთლიანათ ან ნაწილობრივ.

სადივიზიო ოლქები განიყოფება „სარეკრუტო ოლქებათ“, რომელთაგან თვითეული აღგენს ერთიდან სამ ბატალიონამდე.

სარეკრუტო ოლქები განიყოფება „უბნებზე“, რომელიც უფარდდება თემის ტერიტორიას.

მსროლელი ბათალიონები, ცხენოსანი ჯარი, არტილერია, საინჟინერო და დამხმარე ჯარები ერთი და იმავე დივიზიისა ივსება შეძლებისადაგვარათ თანასწორათ სადივიზიო ოლქის ყველა კანტონებიდან.

ჯარში ახლად გაწვეულების განაწილებისათვის ცდილობენ, რომ ცალკე ერთეულები შესდგებოდნ ერთი და იმავე კანტონის მცხოვრებთაგან.

ჯარის შედგენის სისტემასთან დაკავშირებულია ჯარის დისლოკაცია, ანუ უფრო სწორეთ, ამ ჯარების საკრებულო პუნქტების დისლოკაცია: ერთეულათ, რომლისთვისაც ინიშნება საკრებულო პუნქტი, ითვლება ბათალიონი. ბათალიონები შემდეგ იკრიბება პოლკების საკრებულო პუნქტში. რაც შეეხება სპეციალურ ჯარის საკრებულო პუნქტებს, — ასეთები შეეფარდება მათი ქონების ადგილის პუნქტებს, რადგან, ტყვიებს გარდა ყველა სხვა მასალა პიროვნებათა ხელშია, ამიტომ მობილიზაცია ხდება სწრაფად და უბრალოდ. მობილიზაცია ცოტათი ფერხდება მხოლოდ იმით, რომ არტილერიისთვის და ბარგისათვის საკმაო ცხენები ადგილზე არ არის. ტერიტორიალურ სისტემის დროს ჯარში გაწვევა განმეორებითი კურსებზე იგივე ნაწილობრივი მობილიზაციაა და ძლივს თუ განსხვავდება საერთო მობილიზაციისაგან.

ასეთ სისტემას ის მოსდევს, რომ ჯარის რიცხვი, როგორც მშვიდობიანობას, ისე ომის დროს ერთი და იგივეა.

დაბოლოს იგივე სისტემა განსაკუთრებულ ფიზიანომიას აძლევს ჯარის ნაწილებს და საერთოდ ჯარს ხდის სიცოცხლის უნარიანობის მქონე ორგანიზმათ.

(გაგრძელება იქნება)



ცხენოსანი ჯარის მოხარა მტრის გამაგრებულ-პოზიციების გარღვევის შემდეგ \*

§ 13

რა მიზანი უნდა დაისახოს ცხენოსანმა რაზმმა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეითა ჯარი გარღვევს მტრის გამაგრებულ პოზიციებს, ეს მდგომარეობისაგან იქმნება დამოკიდებული.

მას შემდეგ, რაც ცხენოსანი რაზმის უფროსი მიიღებს ყველა ზომებს, რომელნიც საჭირონი იქნება ან ბრძოლის მსვლელობის გასაწყობათ და სამოქმედო გეგმის შესადგენათ, მან უკვე კერძო—გარკვეული მიზანი უნდა დაისახოს: სდიოს მტერს და მოსპოს მისი რეზერვები. რაზმის უფროსს უნდა ახსოვდეს, რომ მთავარი მიზანი მისი მოქმედებისა ის არის, რომ საყვარელი მოესპოს მტერს წინააღმდეგობის საშუალება. ამისთვის მან უნდა განსაკუთრებული ნაწილი გამოიყოს მტრის სადევროთ. ზურგში და ფლანგებზე მოქმედებით ჯერ კიდევ შეურყვევლი პოზიციების წინააღმდეგ, ცხენოსანი ჯარი უნდა დაეხმაროს ქვეითა ჯარს გარღვეული ადგილის გაფართოებაში. მან უნდა მისცეს აგრეთვე საშუალება მთავარ სარდალს მეტი ძალები გამოიყვანოს ბრძოლის ველზე.

§ 14

მომენტის არჩევა ცხენოსანი ჯარის სამოქმედოთ გამოსაყვანათ იმ რაზმის უფროსზე უნდა იყოს დამოკიდებული, რომელის ნაწილი გარღვეული ადგილას ახლო იქნებიან დაბნაკებული.

შეცდომის თავიდან ასაცილებლათ და მდგომარეობის სისწორით დასაფასებლათ რაზმის უფროსი პირადათ უნდა იღებდეს თავის ოფიცრებისაგან მიწვდილ ცნობებს ქვეითა ჯარის მოქმედების შესახებ.

§ 15

რაკი ცხენოსანი რაზმის უფროსი გადაწყვეტს ბრძოლაში ჩარევას, არც ერთს ქვეითა ჯარის უფროსს არ უნდა ჰქონდეს უფლება შეაჩეროს იგი, ან სხვა დრო უჩვენოს მას სამოქმედოთ.

§ 16

გამარჯვებისათვის დროს და შერჩეული მომენტის გარდა ცხენოსანთ რაოდენობაც დიდს როლს თამაშობს. ამიტომ, ბრძოლაში ჩარევასას სარდალმა რამდენადაც კი გარემოება ხელს უწყობს რაც შეიძლება მეტი ესკადრონები უნდა გამოქმედდოს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქმედო ესკადრონების რაოდენობას დაბოლოს გარღვეული ადგილის სივრცე განსაზღვრავს.

§ 17

თუ ბრძოლის მსვლელობა აღმოაჩენს, რომ გაგზავნილი ნაწილები საკმაონი არ არიან დასახულ მიზნის შეასრულებელათ, მაშინ ცხენოსანთ უხუცესი მოვალეა მაშინვე მოაშველოს მათ მოწინავე ესკადრონები: მან თვით უნდა მიიღოს თავზე ბრძოლის ხელმძღვანელობა და ყოველის გზით შეუწყოს ხელი მაშველ-ძალების სუსწრაფო წინსვლას.

§ 18

თუ საქმე ისე მოეწყო, რომ პოლკის უფროსმა, გამარჯვების იმედით მთელი პოლკი სარბიელზე გამოიყვანა და შემდეგ მართლაც აბრუნებია პირი მტერს, მან მყისვე უნდა აცნობოს ეს დივიზიის უფროსს, და მით გააგებინოს მას რომ გარემოება უფრო დიდი ძალების მოხმარას მოითხოვს.

§ 19

ასეთი ცნობის მიღების შემდეგ ცხენოსანი დივიზიის უფროსმა ყოველი ზომა უნდა იხმაროს, რომ რაც შეიძლება მეტი ძალები ჩარიოს საქმეში და რაც შეიძლება ჩქარა მიხახლოს ისინი საჭირო ადგილს. ამ გზით და ქვეითა ჯარის დახმარებით იგი შესძლებს გარღვეული ადგილის გაფართოებას. მეზობელ-პოზიციების ზურგის შემოვლას, ჯარის წინააღმდეგობის შემუსვრას და დამარცხების ბოლომდის მიყვანას.

§ 20

ბრძოლის განმავლობაში ყველა უფროსების ყურადღება იმისკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ 1) არ მისცენ უკუქცეულ მტერს გონზე მოსვლის საშუალება და 2) შემუსრონ მტრის წინააღმდეგობა იმ პოზიციებზე რომლებიც ქვეითა ჯარის იერიშებზე ვერ შეარყია ამისთვის საჭირო იქნება, რომ ქვეითა ჯარის ფრონზე მახლობელი საომარი ასპარეზების უფროსებს მუდამ მისდიოდეთ ცნობები ბრძოლის მსვლელობის და მისი შედეგების შესახებ.

ცნობები უნდა მისდიოდეს გრეთვე კავალერიის დივიზიის შტაბს. უკანასკნელი უნდა გადასცემდეს მათ პირველ ყოვლისა ქვეითა დივიზიის უფროსს, რომლის ფრონტზედაც კავალერია მოქმედებს, შემდეგ კი ქვეითა და ცხენოსანი კორპუსების უფროსებს.

გენ. ჭავჭავაძე.

\*) იხ. „რ. ჯართ“ № 15.

### სამხალრო საქმე\*).

მულმივი ჯარის „კონსერვატიზმი“ და პროგრესი.

ამბობენ ხოლმე სამხედრო ძალა ბურჟუაზიის დამცველია, იგი ხელს უშლის სოციალურ პროგრესს. მილიცია კი აცლის ხელიდან ბურჟუაზიას ამ ძალას და მით უსპობს მას საზღალობას ძალით განაძრკიკოს მისთვის ხილსაწყო წესწყობილება.

წინა წერლშიც აღიწინით, რომ დღევანდელი ჯარი, მილიცია იქნება ის თუ მულმივი ჯარერის ლეიძლიბ. მასში როგორც სარკეში იხატება ერს გულისთქმა, მისი შეგნება, განიითარება და სხვა. დღევანდელ დემოკრატიულ ქვეყნებში ჯარი ემორჩილება არა ხელმწიფის არამედ სახელმწიფოს ეშობელ ერს. ასრულებს ნიბას არა კირძო პირე ბისას არამედ ერისაგან წარმოშობილ მთაერობისას. რა იდეაც იქნება გაბარონბული ერში იმ იდეას შეითვისებს ჯარიც. 1095-წ წელში რევოლიუცია ვერ განმტკიცდა რუსეთში, რადგან არც ერის უმრავლესობა უჭერდა მას მხარს და არც ჯარისა, შემდეგში საბუთი შეიცვალა. რევოლიუციის იდეა გავრცელდა. როგორც ერის ის ჯარის უმრავლესობამ იგრძნო სად იყო სამართლიანობა. როდესაც რევოლიუციამ იფეთქა ჯარი სულ სხვა ნაირათ მოიქცა, ბონაპარტემ მაშინ ჩიიგლოძალაუფლება ხელში. როდესაც დირექტორის მმართველობით თავმობებრებულმა ერმა ძალით მიჩეჩა მას იგი ხელში დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუძლებელია ჯარმა გაილაშქროს ერის უმრავლესობის წინააღმდეგ. ამის შიში უსაფუძლია.

სამხედრო ძალა სახელმწიფოს იარაღია. იგი მისი დავალებით ასრულებს თავის მოვალეობას. ის არ უნდა ემსახუროს და არც ემსახურება ამა თუ იმ პარტიას, წოდებას, ან კლასს. ამიტომაცაა სწორეთ შეუწყნარებელი ჯარის ჩარევა პარტიათ შორის ბრძოლაში. თუ ვინმე იტყვის, რა ჯარს ან მილიციას მაინც და მაინც უნდა დაეალოს ამა თუ იმ პარტიული მოთხოვნისებების განმტკიცება განხორციელება, ის პარტიულ-ჟინით იქნება გატაცებული. არ არის დამტკიცებული, რომ მილიცია, სჯობია მულმივი ჯარს. ბევრი რამით იგი კიდევ დაუვარდება მას და წინააღმდეგის დამტკიცება ძნელია.

\*) იხ. „რ.ჯარი“ № 13.  
აზრთა გაცვლა-გამოცვლის საქროებისთვის ადგილს ეუთმობთ ამ კითხვის შესახებ აკადემიურ ხასიათის კამათს, თანახმად ჩვენი ჟურნალის პროგრამისსა („რ.ჯ.“ № 1), სადაც ნათქვამია რომ თვით ჩვენი ორგანო ეცდება აკადემიური სჯა-კამათით გაამუქოს ჯარის ორგანიზაციულის და სისტემის დიდმნიშვნელოვანი საქითხი რიდ.

ჩვენ ნებას ვაძლევეთ თავს აქ. ერთი აკადემიური ტეტიც დავიმოწმოთ ამ კითხვის შესახებ. ეს გახლავთ ვაშინგტონი - რომელმაც ფრანგებს ანგლისლებსა და ინდოებთან ბრძოლაში გატარა მთელი სიცოცხლე. მის ნიქსა, ცოდნას და შემოქმედების უნარს განცვიფრებაში მოჰყავდა და მას უნარს ვერაერნ ჰქოფს. აი რას ამბობდა იგი; ჩვენი საუკეთესო ხელმძღვანელი ცხოვრებისეი-გამოცდილება ისე ნათლათ და საფუძელიანათ გვიმტკიცებს მილიციის გამოუსადეგრობას, რომ ჰრავინ არ იკისრებს მისი საშუალებით ომი აწარმოოს თუ მისთვის ძვირფასია თავის პარტიეი, სახელი და სულიერი სიმწვიდე. ამას ამბობდა ის კაცი, რომელის დემოკრატიზმს, რესპუბლიკანელობას ან კომპეტენციას ვერაერნ ჰყოფს უნარს.

გ. კ-ძე.

### ქართველ ოფიცრებს!

მეტად არა ნორმალურ მდგომარეობაში გვიხდება ქართველ ოფიცრებს მუშაობა. გაჟეჟილს გატეხილი ჯობილო, იტყვიან, და ჩვენც უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ, ქართველ ოფიცრებს, მეტად აღმაცერათ გვიყურებენ. გონიათ, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების აღლოს აღება არ ძალგვიძს. ასეთ აზრს ჩვენს შესახებ სიმართლე უნდა ითქვას, ერთგვარი ნიდავაი აქვს თვით ჩვენში. ჩვენ თვით არ ვცდილობთ ჩავებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მივილოთ მონაწილეობა იმ დიად შემოქმედითი მუშაობაში, რომელსაც ჩვენი ძმები აწარმოებენ. ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს მივილოთ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ყველა სხვას, ცურვა ხმელეთზე არავის უსწავლია. სანამ აკრიურ მომუშავედ გამოვიდოდეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავთავისუფლოდეთ ყველა იმ ხნი ჩვეულებისაგან, რომელიც ახასიათებდა ძვილ რუსის მხედრობას. ჩხუბი, აყალ მაყალი, გინება, საზოგადო მწერდობიანობის დარღვევა მთვრალ, ღვინით გაღეშილი რუს ოფიცრისთვის ჩვეული მოვლენა იყო. ამას თავისი ასახნელი მიზეზიც ქონდა. მიკლებული ყოველგვარ მოქალაქურ უფლებას, ოფიცერი ღვინოში იძებდა თავგართობას: ზოგი შეგნებულათ სიმთვრალეს აკლავდა თავის გულის გოდებას, ზოგიც კი შეგნებულათ ეჯუებოდა ბახუსის წვენს. თუ ყველაფერი ეს დასაშვები იყო ძველ წესწყობილების დროს, დღის, თავისუფალ საქართველოში, ეს შეუძლებელია, დასაგმობი უნდა იყოს. ასეთ საქციელს შეუძლია, სამუდამოთ ჩირქი მოგვცხოს, უნდა ვეცადოთ, რომ მგზავსი მაგალითები ჩვენში მოიპოვოს. ამას წინათ ერთი ფრიად სამწუხარო ცნობა იყო მოთავსებული გაზეთებში. ქართულ საზოგადო საქრებულოს მამასახლისთა საბჭოს გადაუწყვეტია ზიზლი გამოუცხადლოს ყველა იმ ოფიცრებს, რომელნიც საქრებულოში არღვევენ დამსწრეთა მშვიდობიანობას და მთვრალ-გალეშილნი მხოლოდ იმასდა ფიქრობენ, რომ ვისმე უსიამოვნება და



შეურაცყოფა მიაყენონ. ჩვენდა სავალალოდ ვრთი ჯფუ-  
ფი ოფიცრებისა შეგნებულათ თუ შეუგნებლად ჩვენის  
სახელის გატეხას ზელს უწყობს. შეგნებულმა ნაწილმა  
ჭართველ ოფიცრებისა საჭიროა თავისი მიუდგომელი  
მსჯავრი დასდოს ასეთ საქციელს. ჩვენი ზნეობრივი მო-  
ვალეობაა ასეთ მოვლენებს სათანადო პასუხი გავსცეთ.  
წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა პატიოსანი ნაწილიც  
ოფიცრებისა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, რომ სა-  
ზოგადოებაში თავის გამოჩენის რცხვენოდეს.

ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენ ჯერ არ მოგვიპოვებია  
სრული ნდობა დემოკრატიისა და თუ თავიდანვე სახელი  
გავითქვით როგორც მკლავაძენი, ხალხი დაგვისახავს  
არა მის მოსარჩლეთ, არამედ მის მესაფლავედ. ჩაუკ-  
ვირდეთ ჩვენს თავს!

პოდ. იოსავა

### უფროსების მოვალეობა ჯარში.

ჯარის სწავლა-აღზრდა ყოველთვის უფროსების ხელ-  
შია, რომლებიც უნდა ეცადონ ჯარის კაცები იმდენათ  
მოამზადონ, რომ შეასწავლონ მათ, როგორც სამხედრო  
ხელოვნება, აგრეთვე კულტურული საბუთებით გაანვი-  
არონ და გაათავითნობიერონ ისინი. ჯარის კაცთა უფ-  
როსები, რასაკვირველია ოფიცრებია, და ეს უკანასკნელ-  
ნი კი იმდენათ დაახლოვებულნი უნდა იყვნენ ჯარის კა-  
ცებთან როგორც მასწავლებლები თავის სკოლას მოწა-  
ფებთან.

პრაქტიკიდან ვიცი-ის ოფიცრები, რომელიც ნიადაგ  
ჯარის კაცებთან არის და მათ ცხოვრებასთან დაახლო-  
ვებულა, ამნაირი უფროსი ჯარის კაცებს უყვართ და  
დიდი პატივისცემითაც ეკიდებიან. ზოგიერთი ოფიცრები  
თაკილობენ ასეულში შესვლას და ჯარის კაცებთან საუ-  
ბარს, ხოლო თუ რომელიმე ოფიცერი ხშირად საუბრობს  
ხოლმე ჯარის კაცებთან, ამნაირს მოვლენას სასაცილო-  
თაც არ იკმარებენ.

განსაკუთრებით ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევთ ასე-  
ულის უფროსებს, რომლებიც უფრო დაახლოვებულნი  
არიან ჯარის კაცებთან.

მთავარი ყურადღება რა თქმა უნდა სამხედრო ხელო-  
ვნებას უნდა დაუჩიეს, არა ნაკლები ყურადღება უნდა მი-  
აქციოს აგრეთვე, რომ ასეულში ყველა ჯარის კაცმა  
იცოდეს წერაკითხვა. ამისათვის უნდა მოაწყოს სკოლა.  
წერა კითხვის სწავლება აუცილებლად უნდა სწარმოებდეს  
ჯარში. არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება აგრეთვე პა-  
ტარ პატარა საუბრების მოწყობას საქართველოს ისტო-  
რიიდან და გეოგრაფიიდან, რომლის ცოდნა აუცილებელ  
საჭიროებას წარმოადგენ ჯარის კაცისათვის.

აღ. გორგაძე.

## უაზარმაში. ეროვნული ბიბლიოთეკა სადარაჯოზე.

ლაშა... ვდგევარ სადარაჯოზე...  
ვდგევარ და ლამეს ძმად ვეზმანები,  
მხოლო ჩემს ირგვლივ, გარდასულ დროზე,  
დადიან ფიქრთა ქარავანები.  
იყო დრო, როცა ბედი აღვაგე,  
როცა ებადა გულს დასასვენნი,  
როცა მზიური ქალწულის ბაგე  
მეფიცებოდა: შენი ვარ, შენი!  
მამინ ნაზქმნილი ჩემი მკლავები  
მთლად შეიცნობდნენ, რა არის ლხენა  
და დამედიოდნენ თავს ვარსკვლავები:  
„ნეტავი შენა! ნეტავი შენა!“  
მაგრამ იყო და... და გადამცდა თავს,  
დარაჯად ვდგევარ კმუნვაში მყოფი,  
დღეს სატრფოს ნაცვლად ჩახუტული მყავს  
მასზე უღრმესად ხაზინს თოფი.

ი. მკედლიშვილი.

### შანი ხალით მოვალეობი მიწის დაქრას\*).

გაზაფხულის წყნარი საღამო იყო... ცას ფერი  
ეცვალა, რომლის წიაღშიაც აუჩქარებლივ ეფარე-  
ბოდა შავი რიდე.. მზეც თავის მცხოვან სხივებს  
ნელა-ნელა ჰკრეფდა დედამიწის ზურგიდან და აგ-  
როვებდა დასავლეთის მთის მწვერვალებზედ, სადაც  
კოცონი გაეჩაღებინა და წითლად აღაღლაქებდა  
ცის წიაღს... ღამის მგოსან ბუღბუღს თავი უკვე  
თავისუფლად ეგრძნო შეყვარებულ ბუნებასთან,  
მგოსნური ფანდური მოემართა და ტკბილი მომ-  
ხიბლავი ვნების აღმძვრელი ჰანგებით უმასპიდლ-  
დებოდა სატრფოს სიკეკლუტეს. მხოლოთ გაზაფ-  
ხულის არშიყი სიო, გრძნობით სისინებდა და  
ცდილობდა ბუღბუღის ტკბილი ჰანგები შორს,  
შორს წარეტაცნა, მაგრამ ისინი ჰაერში იფანტე-  
ბოდნენ, და წამტაცმელოდიით ეფინებოდნენ მთ-  
ელსა სამყაროს.

სოფ. ძ.... მცხოვრებთა, მინდვრის მუშაო-  
ბისთვის თავი დაენებებინათ და ხმაურობით სა-  
ხლში ბრუნდებოდნენ, მხოლოდ სოფლის აკარნა-  
ხებული დედაკაცები გაჩქარებულნი წყალზე მირ-  
ბოდნენ რათა ცივი წყალი მოეტანათ ვახშმისთ-  
ვის...

ეს დრო იყო, როდესაც პატარა ჩაფით  
ხელში გამოჩნდა სოფლის ბოლოდან წყაროზედ

\*) იხ. „რ. ჯარი“ № 14



მომავალი თალიკო და თან თავისთვის რაღასაც  
ლილინებდა... მომხიბლავი სანახავი იყო ის იმ ღრ-  
ოს. გრძელი, კაკლის ფერი ხუჭუჭი თმა, ფირუ-  
ში თვალეები, ალვის ხესავით წერწეტი წელი, ნა-  
ში მაისის ვარდვით და ცქვიტი სიარულით მშვი-  
ლს ნუკრისავით... მეტად მომხიბლავი და საუცხო-  
იყო იგი...

ის იყო თალიკომ უკანასკნელი ნაბიჯი გა-  
დადგა და წყაროსკენ მიმავალ გზაზე უნდა შეეხ-  
ვია, რომ სრულიად მოულოდნელად წინ გამოე-  
ქიმა გაფითრებული ილიკო და უხმოდ გაჩერდა...

თალიკო ამ გარემოებამ საშინლად შეაშინა  
რადგან სრულიად სხვა ეგონა, და ის იყო დაყვი-  
რებას აპირებდა, რომ ნაილად გააჩნია ილიკო და  
თვითონაც გაფითრდა... და დიდხნის სიჩუმის შე-  
მდეგ აღელვებულის ხმით მიმართა...

— რა გინდა ჩემგან, რად გამაჩერე.

თალიკო, თალიკო,—დაიწყა ილიკომ, მა-  
გრამ მღელვარებით ენა ებმოდა,—განა ვერ ხედავ  
რომ... რომ... მიყ... ვარ... ხარ, ლულულოთ და-  
იწყა მან.

— ვიცი, მაგრამ... რა გინდა.

— შენ.

— მე მეც...—ყრულ უპასუხა ქალმა და სი-  
რცხვილით თავი ჩალუნა...

— შენც. ოპ, ნეტარებავ,—სიხარულით წა-  
მოიძახა ილიკომ, თავდაკინძულმა ორთავ ხელები  
კისერზე მოხვია და გაშმაგებული კოცნა დაუწყა...

— ილიკო, რას ჩადიხარ, რას.— შეშინებუ-  
ლი შესძახა ქალმა და ხელიდგან გაუსხლტა, განა  
არ იცი, შარა გზაა და შეიძლება მოგვასწრონ.—  
საყვედურით მიმართა ქალმა.

— მაპატივე თალიკო, მეტის მეტი სიხარუ-  
ლით მომივიდა,—მუდარით მიმართა ვაჟმა.

— გიჟო, გიჟო,—მისძახა ქალმა და ამით მთე-  
ლი თავისი სიყვარული და ალერსი გამოჰხატა და  
სწრაფლ გაშორდა იქაურობას....

4.

ეს დღე იყო და ეს, ილიკოს გულში სიყვარულის  
კოცონი აინთო თალიკოსადმი და უიშისოდ ერთ წუ-  
თსაც ვეღარ სძლებდა, და მოუთმენლად მოელოდა  
შემოდგომას, რომ ჯვარი გადაეწერა, რომ საბო-  
ლოვით მოედო ტანჯვისთვის ბოლო....

სალომე თუმცა ამჩნევდა შვილის ცვლი-  
ლებას და ექვიც-კი აიღო ვისთვისაც ტრფოდა შვი-  
ლის გული, მაგრამ არას ეუბნებოდა და ამ მო-  
ლოდინში უფრო აორკეცებდა მუშაობას, რომ  
ოჯახი საფსე დაეხვედრებინა პატარძლისთვის;

ერთ საღამოს, როცა ილიკო სამუშაოდან  
დაბრუნდა სახეზედ მეტად დანაღვლიანება ეტყო-

ბოდა, რაც სალომეს გამოცდილ თვალზედ ჩემ წაღლი  
მოჰპარვია.

— განა მეტყობა.—ნაღვლიანან შეეკითხა ილიკო.

— როგორ არ გეტყობა შეილო, რომ ფერი  
სულ აღარა გაქვს, ავად ხომ არა ხარ.

— ეჰ, დედი, ნეტავ ავად ვიყო, ის შირჩვენია,  
ოხვრით მიუგო დედას.—

— როგორ.— იკითხა სალომემ და თვალეებში  
ჩააჩერდა შვილს.

— როგორ და... სალდათში მიბარებენ....

— შენ.— შეშინებული იკითხა სალომემ უწი-  
ნამც დღე გაჰქრობიათ, რა უნდა დედის ერთას  
საღდათში... განა სამართალი აღარ არის....

— უნდა თუ არ უნდა მეკი მიბარებენ და.—  
ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა ილიკომ და გარეთ გავი-  
და, მხოლოთ ამ ამბისგან თავზარდაცემულმა სა-  
ლომემ, აქვე ხატის წინ დაიჩოქა და სასოებით  
დაუწყა ვედრება მეუფეს, რომ აეცდინა მისი შვი-  
ლი ამ უბედურებისაგან, თანკი მდულარ ცრემლე-  
ბს აფრქვევდა....

გადიოდა თვეები, ილიკოსი არაფერი ისმო-  
და, სალომეს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა და  
ყოველ დღე სოფლის სამართველოში დაიარებოდა,  
აწერინებდა არზას-არზაზე და უგზავნიდა მთავრო-  
ბას, მაგრამ არავითარი პასუხი არ მისდიოდა.

— ოღონდ კი ჩემი ილიკო გამინთავისუფლო  
და სულ ჩემს ქონებას არ დავიშურებ,—ეტყოდა  
ხოლმე სოფლის მწერალს, რომელიც მოხერხებუ-  
ლად ატყუებდა, და უბრალო არზის დაწერვაში  
ბლომად ახდევინებდა ფულს....

თალიკო, რომელზედაც ძრიელ იმოქმედა  
სატრფოს დაშორებამ ხშირად დადიოდა საღდა-  
თილოსთან და ნუგეშს აძლევდა.

— შენა ხარ შეილო ჩემი ნუგეში,—ეტყოდა  
ხოლმე სალომე, როცა თალიკო მივიდოდა მასთან,  
როცა შენ ჩემთანა ხარ ასე მგონია ილიკოა მეთ-  
ქი, გულში ჩაიკრავდა და დიდხანს ჰკოცნიდა....

ვ. საათაშვილი.

### ჰვირაული მიმოხილვა.

ახალციხის ფრანტზე ჩვენი ჯარის გამარჯვება და  
გაველენა ადგილობრივ მცხოვრებლებზე დღითი-დღე  
ძლიერდება, ადგილობრივი მუსულმან-ქართველობა  
ყველგან სიხარულით ეგებება ჩვენ ჯარს და სთხოვს მას  
პატრონობას და მფარველობას; ამის დამადასტურებე-  
ლია სხვა და სხვა სოფლებიდან დელეგატების მიერ  
გამოცხდებული თანაგრძობანი ჩვენი ჯარისადმი. მაგ-  
რამ როგორც წარსულ კვირის მიმოხილვაშიაც ავლნი-  
შნეთ, ახალციხეში ჩვენი ჯარის გამარჯვებამ ძილი და-  
უფრთხო ადერბეიჯანელ ბეგებს. სიტყვით თუ პრესით მათ

სერიოზულად იწყეს შემოტევა. ათასგვარ ჯორებს ავრცელებენ ახალციხეში მოქმედ ჩვენი ჯარის წინააღმდეგ. ახალციხიდან ბაქოში ვიღაც ჩასულისსიტყვით სახლვარი არ უდევს ქართული ჯარის კაცების ვილურ მოქმედებას, რომლის დანახვაზე ახალციხიდან ჩასული „თვალეზს ხუჭავდა“ თურმე აღბედა „მუსაბაჩის“ პარტიი მიერ მოწვეულ თათარ მუშების „მრავალ ათასოვანზე“ მიჩინებამ ამ „თვალ დახუჭულ“ ახალციხის გილორობის მნახილის ქორიბზე დაამყარა თავისი პროტესტი. უმფრო საშუაბრო ის არის, რომ ყველა ეს პროტესტები და ჯორები იბეჭდება ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციალურში და იქიდან ვრცელდება ფართო მასაში. გაზ. „ადერბეიჯანი“ მოჰყარის კოლოთი სწორს: „სხვა ზომებს მივიღებთო“; ჩვენ არ ვიცით, როგორ ზომებს გულისხმობს „ადერბეიჯანი“, მაგრამ ის კი არ ეპატივება არც ოფიციალს და არც მუშათა ორგანიზაციას დაუჯეროს ჯორებს და პროვოკაციით აღსავსე ხმებს, რომლის მიზანია გაამწვევოს მდგომარეობა ორ მუშობელ რესპუბლიკათა შორის. ბოლოს ადერბეიჯანს არავითარი უფლება არა აქვს ახალციხის საქმეში ჩარევისა, რადგანაც ახალციხე არის საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი და იქ მოქმედების პასუხის მგებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობა. სხვა გარეშე ძალის ჩარევა ახალციხის საკითხში თავის თავად გულისხმობს საქართველოს სუვერენულ უფლებების შეზღავანას, რასაც საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა ვერასოდეს ვერ შეუტოვებდა.

\*\*\*

წარსულ კვირაში შესდგა საქართველოს ახალი მთავრობა, რომელიც 21-მარტს დეკლარაციით წარუდგა დამფუძნებელ კრებას. დეკლარაციაში აღრიცხულია ყველა ჩვენი სახელმწიფოს მტკივნელოვანი ადგილები, და საშუალებანი, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობის განმტკიცებას. ჯარზე დეკლარაციაში შემდეგია ნათქვამი: „ჩვენ შევეცდებით დავრამზოთ მოძრავი და საკმაოდ გაწრთვნილი და მუდმივი ჯარი, რომელიც სახალხო გვარდიასთან ერთად იკისრებს რესპუბლიკის შინაურ და გარეშე მტერთაგან დაცვას“.

ცხადია, ჩვენ მთავრობას ბევრი დაბრკოლებანი გადაელობება წინ დეკლარაციაში დასახულ მიზნების განხორციელების დროს, მაგრამ დამფუძნებელი კრების უმაღლესი ხელმძღვანელობით და დახმარებით, ყველა ჩვენი მოქმედ ორგანოების ხელის შეწყობით, მთავრობა შესძლებს დეკლარაციის განხორციელებას.

მთავრობის აწინდელი შემადგენლობაც სრულ იმედს გვაძლევს, რომ ის ჯეროვან სიმაღლეზე დაიჭერს საქართველოს დროშას და როგორც „აღმასრულებელი ორგანო დამფუძნებელი კრების და პასუხისმგებელი მის წინაშე, მიზნად დაისახავს დემოკრატის ინტერესთა დაცვას, რევოლუციის მონაპოვრთა განმტკიცებას და გააფართოებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში“.

\*\*\*

თითქმის მთელი ევროპის გულისყური ამ ჟამად მიპყრობილია პარიზის საზავო კონფერენციისაკენ. ამ კონფერენციისაგან დამოკიდებულია პატარა ერების ბედი.

ამ კონფერენციამ უნდა იცნოს და დაადასტუროს ჩვენი დამოუკიდებლობაც.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩვენი დელეგატები ნ. ჩხეიძე და წერეთელი უკვე მისულან პარიზში; პარიზის პრესის წარმომადგენელთათვის მათ განუცხადებიათ: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დათმობას. მას ზღაპრის ძალა თავისი საქმიანობით თვითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნოს ის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოდ.“ დიანაც, ეს არის ჩვენი ერთად ერთი სურვილი; პარიზის კონტინენტის ჩვენ იმდენს თვალთ შევუჭირით— დარწმუნებული ვართ, რომ ის ანგარიშს გაუწევს, დაათსებს საქართველოს დემოკრატის თავადობას რევოლუციის მონაპოვრთა შესარჩენად და ანარქიულ ტალღების ჩასაქრობლად.

\*\*\*

სამხედრო მინისტრი ბ. გ. გიორგაძე გადაიდა მან გამოსასაღმიდელი დეპეშები დაუთრია ჯარის ნაწილებს. ამა თუ იმ პირის საბოლოო დათსება, რომელიც უდგა ჩვენ სახელმწიფოს რომელიმე დარგს სათავეში ისტორიის საქმეა, მაგრამ ჩვენ მიინც არ შეგვიძლიან არ აღინიშნოთ ბ. გიორგაძის ღიაწლი და მტკიცე ინირგია ჩვენი ჯარის ორგანიზაციის საქმეში. ბ. გიორგაძემ საკმაოდ დაიმსახურა ნდობა და სიყვარული ჯარში, რასაც მოწმობს სხვა და სხვა ჯარის ნაწილიდან მის გამოსასაღმიდელ დეპეშაზე მოსული საპასუხო დეპეშები. დარწმუნებული ვართ რესპუბლიკის ახალ გაზრდა ჯარი მუდამ სიყვარულით და მადლობით მოიხსენიებს თავის პირველ მინისტრს, რომლის ხილმძღვანელობის დროს რაოდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად ჩვენს ჯარს.

გ.რ. საქართველო.

### აღ-გულაღი.

დიდი ხანი არ არის რაც აქ ჩიოვიდა მს ცხენოსანი პოლიცი, რომელმაც დიპირა ყ: ქართულ გრინადერთა ყ ხარმები. მიუხედავად იმისა რომ ეს უხარმები დიდ დ ღ ზიანებულთა, (წაშლანობის სასურათი, ზუსტები, კარ-ფაჯრები, ხეწილები, არ არის მინები) მიინც, რამდენხანაც შესაძლებელია სწყობენ ს ცხოვრებლად. მეცადინება მიდის ჩქარი ნაბიჯით. ცხენოსნები, ფესოსნები, თუ ტყვიის მფრქვევლნი ერთი მეორეს ეგვიბრებიან მეცადინებაში. პოლიცის უფროსად არის პოლიკოვნიკი ვ. დ. ნაკვლიშვილი ოა ყოველ დღეს მხარობს რომ პოლიცე ჯეროვანად მოაწყოს. საქმეს აქვირებს ბინა. ოფიცერთათვისაც არ არის ბინა თავისუფალი სახლები, დაქვრალი აქვთ გაღმობვეწილი, სცხოვრებენ საშინელი სიბინძურეში; ტიფით ავად ყოფიან ხშირია. ამ ბოლო ხანს ჯარის კაცთა შორისაც იჩინა თაფი. ყოველი ჩხრიდან გაპყვით გაღმობვეწილი, მაგრამ აქედან მათ გასვლას აზოფერი ეშველა. ესენი არიან უმეტეს ნაწილად მსმენი ახალციხე-ახალ-ქალაქის მახრიდან და მკიერ ნაწილი ბერძენები ყარსის ოლქიდან. პირვილთ დრო გაღმობვებით დახედავენ ხოლმე მრავალ ფერი კომიტეტის წევრნი ოა ამათ ოვადება მათი მისია. არავინ რის რომ ან გაიყუნოს ისინი, ან რომ დროზე მიიღოს საშუალებმა ავადმყოფობის წინააღმდეგ მათ შორის.

ასეთ ცუდ პირობებში უნდა ბა მს პოლიცე შეოვინა-მეცადინობა, მაგრამ მიუხედავად ამისა უღ აღრე მოპავლომა ჩვენ რეგულიარულ ჯარს შეემატება ერთი სრული მომავლებული ცხენოსანი პოლიცი.

არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო აღმინისტრაციის მოქმედება: პოლიცი ბუკობინებს აღმინისტრაციას რომ ეს ოა ეს ჯარის კაცნი გაიპარნენ და თან წაიღეს ეს და ეს სახანობა ნივთებიო. კარგა ხნის შევდეგ პასუხი მოდის რომ ის პირი ჩაწერილია სხვა რომელიმე ნაწილში. შედეგი ცნობა ამ მისამართზე რომ აღნიშნული პირი გამოცხადებულია ნაწილში „უფურტირათ“ რჩება უყურადღებოთ, რაც ფრიად ს მიწუაროა. მოდის ჯარის კაცი ერთ ერთთულში, ეწერება, იღებს ტანსაცმელს, იპარება, ეწერება სხვაში და იქიდანაც იღებს და ასეთი მოვლენა ხშირია.

საჭიროა ამ ოვლენას მეტი ყურადღება მიექცეს. ამისათვის იქ საქართველო ყურადღება მიექცეს გაღმობვეწილითა გაყვანას აღ ულდობიდან. თორემ, როგორც მოგახსენებთ, სხადმა ჯარის კაცთა შორისაც იჩინა თაფი.

უნტ. იფ. შ. უორდანიო.